ამონაწერი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 15 დეკემბრის სხდომის № 7
ოქმიდან

**სხდომას ესწრებოდნენ:** გაგა ლომიძე (სხდომის თავმჯდომარე), მაკა ელბაქიძე, მანანა კვაჭანტირაძე, რუსუდან ჩოლოყაშვილი, ივანე ამირხანაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, მაია ნინიძე, მაია ჯალიაშვილი, ლევან ბრეგაძე, დარეჯან მენაბდე, ზაზა აბზიანიძე, როსტომ ჩხეიძე, თამარ ბარბაქაძე,

**დღის წესრიგი:** 1. ინსტიტუტის დირექტორის არჩევნების დანიშვნა.

**მოისმინეს:** საბჭოს თავმჯდომარემ, გაგა ლომიძემ, დამსწრეთ შეახსენა რომ თსუ დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს ამავე დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე 5 წლის ვადით დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ აკადემიურ საბჭოს. მიმდინარე წლის ბოლოს, ინსტიტუტის მოქმედი დირექტორის, ირმა რატიანის ხუთწლიანი ვადა იწურება, რისთვისაც საჭიროა დაინიშნოს დირექტორის ხელახალი არჩევნები, თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი"-სა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლისა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით" მე-11 მუხლის შესაბამისად; მანვე, საბჭოს განსახილველად წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, რომელშიც ასახულია დირექტორის კანდიდატურისათვის დადგენილი მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სახეობები, წარმოდგენის ვადები და სხვა პროცედურული საკითხები. აღინიშნა, რომ საჭიროა გამოცხადდეს გონივრული ვადა, კანდიდატთა საბუთების მისაღებად და არჩევნების ჩასატარებლად.

**აზრი გამოთქვეს:** მაკა ელბაქიძემ, როსტომ ჩხეიძემ, მაია ნინიძემ, ლევან ბრეგაძემ, ზაზა აბზიანიძემ, მანანა კვაჭანტირაძემ. გამომსვლელებმა მოიწონეს დირექტორობის კანდიდატისათვის დადგენილი აუცილებელი მოთხოვნები; იმსჯელეს და დაადგინეს არჩევნების ჩატარების კონკრეტულ თარიღი, რის შედეგადაც,

**ღია კენჭისყრის საფუძველზე,** მიიღეს განაცხადის საბოლოო ტექსტი.

**დაადგინეს:** განცხადება წარედგინოს თსუ შესაბამის სამსახურს თსუ ვებგვერდზე განსათავსებლად.

სხდომის თამჯდომარე: /გაგა ლომიძე/

სხდომის მდივანი: / მირანდა ტყეშელაშვილი/